ტოივო კლაარი
საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი

ბატონი ტოივო კლაარი საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელად 2013 წლის 13 სექტემბერს დაინიშნა. მანამდე, 2012 წლის მარტიდან, იგი ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) ადამიანური რესურსების პოლიტიკის და კოორდინაციის სამმართველოს ხელმძღვანელობდა. ამ თანამდებობის დაკავებამდე იგი იყო ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) რესურსებისა და დაგეგმარების სამმართველოს უფროსი და რეფორმებისა და საკადრო რესურსების განყოფილების ხელმძღვანელი ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა გენერალურ დირექტორატში (DG Relex), რომელიც ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის შექმნის მენეჯმენტზე იყო პასუხისმგებელი.

ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა გენერალურ დირექტორატში საქმიანობის დაწყებამდე იგი, 2005 -2010 წლებში, ესტონეთში ევროკომისიის წარმომადგენლობის პირველი ხელმძღვანელი იყო.

მანამდე ბატონი ტოივო კლაარი მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე ესტონეთის საჯარო სამსახურში. მათ შორის - პრეზიდენტ ლენარტ მერის მრჩეველად საგარეო პოლიტიკის საკითხებში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის საკითხთა სამმართველოს გენერალურ დირექტორად და პოლიტიკურ საკითხებში გენერალურ დირექტორად. იგი ასევე იყო თავდაცვის მინისტრის მრჩეველი.

ბატონი კლაარი ფლობს ჰარვარდის უნივერსიტეტის ჯონ კენედის სახელობის მმართველობის სკოლის საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო ხარისხს.

ბატონი კლაარის მეუღლეა ჰელი ტიირმაა - კლაარი. მათ ჰყავთ ვაჟი და ქალიშვილი.

<u>ქრონოლოგიური რეზიუმე:</u>

2013-	საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი
2012-2013	ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) ადამიანური რესურსების პოლიტიკის და კოორდინაციის სამმართველოს უფროსი
2011-2012	ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) რესურსებისა და დაგეგმარების სამმართველოს უფროსი
2010-2011	ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა გენერალური დირექტორატის (DG Relex) რეფორმებისა და საკადრო რესურსების განყოფილების უფროსი

2005-2010	ესტონეთში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი
2003-2005	ესტონეთის თავდაცვის მინისტრის მრჩეველი
2003-2004	ბულგარეთის მთავრობის კონსულტანტი საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის საკითხებში
2002-2003	ჰარვარდის უნივერსიტეტის მაგისტრი
2001-2002	ვაშინგტონში ესტონეთის საელჩოს მრჩეველი თავდაცვის საკითხებში
1999-2001	პრეზიდენტ ლენარტ მერის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში (მივლენილი საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ)
1998	საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის საკითხთა სამმართველოს გენერალური დირექტორი
1995-1998	მისიის ხელმძღვანელის მოადგილე ესტონეთის საელჩოში ბრიუსელში აკრედიტაციით ევროკავშირში, ნატოში, დასავლეთ ევროპის კავშირსა და ბენელუქსის ქვეყნებში
1992-1994	საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორი პოლიტიკურ საკითხებში
1992	ესტონეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ჰელსინკიში შემდგარი ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის საფუძველზე გამართულ შეხვედრაზე
1991	საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწე